

**გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის  
საზღვარგარეთ მიწვეული თანამშრომლების მოღვაწეობა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), ფიზიკის ფაკულტეტზე, 1969 წლიდან ფუნქციონირებს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია (გელ), რომლის ხელმძღვანელია პროფ. რევაზ ზარიძე. იხილეთ: იხილეთ: <http://www.laetsu.org>

ლაბორატორიის წევრების მიღწევები ცნობილია, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ და გააჩნიათ მჭიდრო ურთიერთობა საზღვარგარეთელ კოლეგებთან (Technical University of Berlin, (გერმანია) National Technical University of Athens, (საბერძნეთი) University of Bremen (გერმანია), University of Vigo (ესპანეთი), Osaka Institute of Technology (იაპონია), University of Pennsylvania (აშშ), University of Missouri Rolla (აშშ), **Swiss Federal Institute of Technology** (შვეიცარია), **Moscow State University** (რუსეთი), Institute of Applied Problems of Mech. & Math., NASU (უკრაინა), University of Veliko Tirново (ბულგარეთი). ლაბორატორიიდან გამოსულ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა. ლაბორატორიის ბევრი თანამშრომელი მიწვეულია სამუშაოდ ისეთ ფირმებსა და პრესტიჟულ უცხოურ უნივერსიტეტებში როგორებიცაა: მოტოროლა (აშშ), ათენისა და ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (საბერძნეთი, გერმანია), დორტმუნის კოლეჯი (აშშ), აიოვას უნივერსიტეტი (აშშ), ციურიხის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი (შვეიცარია), მისური-როლას უნივერსიტეტი (აშშ) და სხვა, სადაც ზოგი ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას. ლაბორატორიიდან გამოსული სპეციალისტების საფუძველზე სულ რამოდენიმე წლის წინ შეიქმნა საკონსულტაციო, სამეცნიერო კვლევითი ფირმა EMCOM (იხილეთ): <http://www.emcos.com>, რომლის დირექტორია რომან ჯობავა (იხ. ქვემოთ).

ლაბორატორიის წევრებს მიღებული აქვთ სხვადასხვა პერსონალური თუ ჯგუფური გრანტები: **INTAS, NATO, ISTC, CRDF, SCOPE, EC FP6 Programme** და სხვა.

ლაბორატორიის წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იხილეთ <http://www.laetsu.org/LaePub.htm>

ყოველ წელს იცავენ ახალგაზრდა მეცნიერები საკანდიდატო დისერტაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიის ასეთი წარმატება განპირობებულია იმით რომ ქართული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლების: ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის წმინდა თეორიულ საფუძველებზე დაყრდნობით, ლაბორატორიაში შეიქმნა მძლავრი დამხმარე გამომსახივებლების მეთოდი, რომელიც ფრიად ეფექტური და მოქნილი აღმოჩნდა. ზოგადად – სასაზღვრო ამოცანების ამოსახსნელად, და კერძოდ, გამოყენებითი ელექტროდინამიკის ამოცანების ამოსახსნელად. ლაბორატორიის თანამშრომლები თავიანთ გამოცდილებას ფართოდ გადასცემენ ასპირანტებს, მაძიებლებს და სტუდენტებს. ლაბორატორიაში მუშაობენ ასპირანტები და მაძიებლები, მაგისტრანტები და სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ თანამედროვე ელექტროდინამიკის პრობლემების ამოხსნებში.

**საზღვარგარეთ მიწვეული თანამშრომლების მოღვაწეობა**

**რევაზ ზარიძე**

მიწვეული ვიყავი ლექციების წაკითხად:

1984 - საკავშირო სკოლა-სემინარი დიფრაქციასა და ტალღების

გავრცელებაში ახალგაზრდა მეცნიერებისათვის და ასპირანტებისთვის ვოლოკოლამსკში, სსრკ

1986 - ლუბლიანას უნივერსიტეტი. ლუბლიანა, იუგოსლავია

1988 - საკავშირო სკოლა-სემინარი დიფრაქციასა და ტალღების გავრცელებაში ახალგაზრდა მეცნიერებისათვის და ასპირანტებისთვის ჩისტოპოლში, სსრკ-ში

1990 - ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია

1991 - ოსაკას ელექტრო-კომუნიკაციების უნივერსიტეტი; ტოკიოს უნივერსიტეტი, იაპონია; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კოლეჯი, ნიჰონის უნივერსიტეტი, ტოკიო, იაპონია

1994 - ათენის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი, კომუნიკაციების და კომპიუტერული სისტემების ინსტიტუტი, ათენი, საბერძნეთი

1995 - ლატსის სიმპოზიუმი გამოთვლით ელექტრომაგნეტიკაში, ციურიხი, შვეიცარია

1996 - მოტოროლა – ფლორიდის კორპორაციული ელექტრომაგნეტიკის კვლევითი ლაბორატორია, ფორტ ლოდერდი, ფლორიდა, აშშ

1997 წ. 26 ივლისიდან – 5 აგვისტომდე: ნატოს გამოყენებითი გამოთვლითი ელექტრომაგნეტიკის თანამედროვე სწავლების ინსტიტუტი, სამოსი, საბერძნეთი

1997 წ. 14–19 სექტემბერი - ნორსროფ გრუმან კორპორეიშენი, ელექტროდინამიკა და გამოყენება, სანტა მონიკა, კალიფორნია, აშშ

2001 წ. 19-21 დეკემბერი - ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი, ციურიხი, შვეიცარია

## დავით წიკლაური

<http://www.imr.salford.ac.uk/people/academic%20staff/davidtsiklauri.shtml>

1999 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

1999-2000 მიწვეული იყო აიოვას მეცნიერებისა და ტექნილოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (Geological Sciences 253 Science Hall 1, Iowa 50011-3212) გეოლოგიისა და ატმოსფერული მეცნიერების ფაკულტეტზე პოსტდოქტორული მკვლევარის (Postdoctoral Fellow) თანამდებობაზე.

2000-2003 მიწვეული იყო უორიკის უნივერსიტეტში (University of Warwick, UK) ასტროფიზიკის და კოსმოსის ჯგუფში მკვლევარის თანამდებობაზე.

2003 წლიდან მუშაობს დიდ ბრიტანეთში სალფორდის უნივერსიტეტში (University of Salford, Salford, UK) კოსმოსური

ტექნოლოგიების ლექტორად.

**ფრიდონ შუბითიძე**

<http://www-nml.dartmouth.edu/geophysprg/people/fridon.html>

1994 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

1998-დან 2000-მდე მიწვეული იყო პოსტდოქტორული მკვლევარის (Postdoctoral Researcher) თანამდებობაზე ათენის ნაციონალურ ტექნიკურ უნივერსიტეტში (National Technical University of Athens).

2000 წლიდან მიწვეულია “Thayer School of Engineering”-ში, დარტმუხის კოლეჯში (8000 Cummings Hall, Hanover, New Hampshire 03755-8000) პოსტდოქტორული მკვლევარის (Postdoctoral Researcher) თანამდებობაზე.

**გიორგი ბით-ბაბიკი**

1998 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

2000 წლიდან მიწვეული იყო ფირმა “MOTOROLA”-ში (Plantation, Fort Lauderdale, Florida, USA) მკვლევარი მეცნიერი (Research Scientist) თანამდებობაზე.

ამჟამად “MOTOROLA”-ში უკავია წამყვანი ინჟინერის (Principal Staff Engineer) თანამდებობა.

**რომან ჯობაგა**

1990 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

1998-2000 ჰუმბოლტის გრანტის (Humboldt Grant) ფარგლებში მიწვეული იყო გერმანიაში, ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (Technical University of Berlin).

2001-2004 ინდივიდუალური საწარმოს “რომან ჯობაგა” (სფერო: კომპიუტერული მოდელირება) ხელმძღვანელი

2005-დან “EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა” EMCOS (<http://www.emcos.com>) ფირმის დირექტორი

**ალექსანდრე ბიჯამოვი**

2004 წლის თებერვალში გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

2004 წლის მაისიდან მიწვეულია ფირმა “MOTOROLA”-ში (Plantation, Fort Lauderdale, Florida, USA) მკვლევარი მეცნიერი (Research Scientist) თანამდებობაზე.

**კახაბერ თავზარაშვილი**

1999 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

2005 წლიდან მიწვეულია შვეიცარიის ფედერალურ ტექნიკურ ინსტიტუტში (Swiss Federal Institute of Technology) ელექტრომაგნიტური ველებისა და მიკროტალღური ელექტრონიკის ლაბორატორიაში პოსტდოქტორული

(Postdoctoral) მკვლევარის თანამდებობაზე.

გიორგი ღვედაშვილი

2002 წელს გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში დაიცვა საკანდიდატო დისარტაცია.

INTAS Postdoctoral Fellowship გრანტის ფარგლებში:

2004 წელს სექტემბრიდან დეკემბრამდე მიწვეული იყო ბულგარეთის უნივერსიტეტში (University of Veliko Tirmovo)

2005 წელს აპრილიდან აგვისტომდე მიწვეული იყო შვეიცარიის ფედერალურ ტექნიკურ ინსტიტუტში (**Swiss Federal Institute of Technology**) ელექტრომაგნიტური ველებისა და მიკროტალღური ელექტრონიკის ლაბორატორიაში პოსტდოქტორული (Postdoctoral) მკვლევარის თანამდებობაზე.

გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის  
გამგე, პროფესორი

რევაზ ზარიძე